

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროგრამის მიზანია:

პროგრამის მიზანია მოამზადოს სატყეო საქმის დარგის კურსდამთავრებული, რომელსაც ტყის ეკოსისტემების მოვლისა და კვლავწარმოების, ძირითადი ტყისშემქმნელი სახეობების კორომებში ბუნებრივი განახლების, სახეობათა ცვლისა და სხვა მნიშვნელოვანი სასიცოცხლო პროცესების მართვის გააზრების, მათ წარმართვაში მონაწილეობით მიღებული გამოცდილების საფუძველზე ექნება ტყეების ბიომრავალფეროვნების დაცვისა და ოპტიმიზაციის სფეროში მოღვაწეობის და კარიერის განვითარების შესაძლებლობა. შეასწავლოს, როგორც ბუნებრივ, ისე კულტურცენოზებში ეფექტური სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების განხორციელებისა და ტყეების ნიადაგდაცვითი, კლიმატმარეგულირებელი, წყალშენახვითი, კურორტოლოგიურ-ბალნეოლოგიური და სხვა სასარგებლო ფუნქციების შენარჩუნებისა და გაუმჯობესების უზრუნველყოფისათვის საჭირო პრაქტიკული გამოცდილება.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)

ცოდნა და გაცნობიერება – სტუდენტი შეიძენს ცოდნას საქართველოს ტყეებისა და მათი ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და ოპტიმიზაციის შესახებ; გააცნობიერებს სახელმწიფო და დაცული ტერიტორიების ტყის ფონდის მიწებსა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე ეროზირებული ფართობების მონიტორინგისა და საპრევენციო სატყეო-სამელიორაციო ღონისძიებების განხორციელების სპეციფიკას.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი – სტუდენტს ექნება ტყეების ფიტოსანიტარული მდგომარეობის მონიტორინგისა და საპრევენციო ღონისძიებების განხორციელების უნარი. შეძლებს ტყეების სწორი აღრიცხვა-ინვენტარიზაციისა და ზოგადად ტყეთმომწეობის სამუშაოების წარმოებისას მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე, სარევიზიო პერიოდში სწორი ტყითსარგებლობის პრობლემის გადაჭრის ორგანიზაციის უზრუნველყოფას. ტყეკაფითი სამუშაოებისა და პიროლოგიური ღონისძიებების დასახვაში მონაწილეობის მიღების უნარი.

დასკვნის უნარი – ტყეში არადაამაკმაყოფილებელი ბუნებრივი განახლების მიმდინარეობის შეფასება და დასკვნის გამოტანა. კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე ტყის ბუნებრივი ეკოსისტემების ხელუხლებელი სახით შენარჩუნებისათვის საჭირო ღონისძიებათა გააზრება და სატყეო საკანონმდებლო ბაზით უზრუნველყოფის საფუძველზე, ტყეების ბიომრავალფეროვნების დაცვის მიზნით შესაბამისი დასკვნების შემუშავება.

კომუნიკაციის უნარი - სტუდენტი შეიძენს სატყეო-სამეურნეო ინფორმაციის სრულყოფილად და თანმიმდევრულად გადაცემის უნარს მშობლიურ და უცხოურ ენაზე (ინგლისური, რუსული, ფრანგული, გერმანული); სატყეო-სამეურნეო სფეროში მიმდინარე პროცესების ანალიზის საფუძველზე საკუთარი მოსაზრების გაზიარების უნარი დარგის სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან. სატყეო საქმეში პრევენტაციების ან წერილობითი ინფორმაციის მომზადების უნარი;

სწავლის უნარი – სტუდენტს ექნება სწავლის მიმართულების განსაზღვრის უნარი შექმნილი გარემოსა და პრიორიტეტების გათვალისწინებით; სატყეო-სამეურნეო სფეროში ცოდნის განახლების აუცილებლობის შეფასება. სატყეო საქმეში არსებული უახლესი ინფორმაციის ათვისებისა და უწყვეტი განათლების მიღების უნარი.

ღირებულებები – სატყეო საქმის პრინციპების, ფასეულობებისა და არსებული ღირებულებების გააზრება. სატყეო საქმეში ახალი ღირებულებების ფორმირების პროცესში, მათ რეალიზაციასა და დამკვიდრებაში მონაწილეობის მიღება.

შეფასების სისტემა:

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სასწავლო კურსების ჩამონათვალი კრედიტების მითითებით

№	სასწავლო კურსი	კრედიტი
1	მათემატიკის საფუძვლები	5
2	ზოგადი და ორგანული ქიმიის შესავალი	4
3	ბოტანიკა	4
4	გამოყენებითი ინფორმატიკა 1	5
5	უცხოური ენა I – (არჩევითი სასწავლო კურსები)	
5.1	უცხოური ენა (ინგლისური) – E 1.1	5
5.2	უცხოური ენა (ფრანგული) – F 1.1	
5.3	უცხოური ენა (გერმანული) – D 1.1	
5.4	უცხოური ენა (რუსული) - R 1.1	
6	ტყის ზოოლოგია	4
7	ზოგადი ფიზიკა	5
8	ვარიაციული სტატისტიკა	4
9	მცენარეთა მორფოლოგია და ანატომია	5
10	უცხოური ენა II – (არჩევითი სასწავლო კურსები)	
10.1	უცხოური ენა (ინგლისური) -E 1.2	5
10.2	უცხოური ენა (ფრანგული) – F 1.2	
10.3	უცხოური ენა (გერმანული) – D 1.2	
10.4	უცხოური ენა (რუსული) - R 1.2	

11	სატყეო მეტეოროლოგია და კლიმატოლოგია	4
12	სატყეო გეოდეზია	4
13	მცენარეთა ბიოქიმიის საფუძვლები	4
14	არჩევითი ჰუმანიტარული სასწავლო კურსები	
14.1	ფილოსოფიის შესავალი	3
14.2	შესავალი ფსიქოლოგიაში	
14.3	საქართველოს ისტორია	
14.4	სოციოლოგია	
14.5	კულტურა და თანამედროვეობა	
14.6	აკადემიური წერა	
14.7	პოლიტოლოგია	
15	დენდროლოგია 1-შიშველთესლოვანები	5
16	ეკოლოგიის საფუძვლები	5
17	მცენარეთა ფიზიოლოგია	5
18	სატყეო ნიადაგმცოდნეობა გეოლოგიის საფუძვლებით	5
19	მიკრობიოლოგია	5
20	სატყეო მექანიზაცია და ტყის ტრანსპორტი	5
21	დენდროლოგია 2-ფარულთესლოვანები	5
22	გეოგრაფიულ-ინფორმაციული სისტემები სატყეო მეურნეობაში	5
23	სატყეო ენტომოლოგია	5
24	სატყეო ტაქსაცია	5
25	სატყეო ფიტოპათოლოგია	5
26	მერქანმცოდნეობა	5
27	ტყეთმცოდნეობა	5
28	დენდრომეტრია	5
29	სატყეო მეურნეობის ეკონომიკა	5
30	ტყის კულტურები	5
31	ტყის დაცვის საფუძვლები	4
32	შრომის უსაფრთხოება აგროსაინჟინრო საწარმოებში	5
33	საველე პრაქტიკა	16
34	მეტყევეობა	5
35	ტყეთმოწყობა	5
36	სატყეო მელიორაცია	5
	სპეციალობის სავალდებულო არჩევითი კომპონენტები	
37	წყლის რესურსების მენეჯმენტი	5
38	ნადირობის საფუძვლები და სანადირო მეურნეობა	5
39	ტყეთსარგებლობის საფუძვლები	5
40	ტყიდან დამზარე სარგებლობა და სამკურნალო მცენარეები	5
41	სატყეო სელექცია და მეთესლეობა	5
42	სატყეო მეურნეობის მარკეტინგი	5
43	მხაზველობითი გეომეტრია	3

44	გეგმილური ხაზვა	3
45	ელექტროტექნიკა და ელექტრონიკის საფუძვლები	4
46	მათემატიკა 1.1	5
47	მათემატიკა 2.1	5
48	სამეწარმეო სამართლის საფუძვლები	5
49	ფიზიკა 2	4
50	ფიზიკა 3	4
51	ტექნიკური მექანიკა	6
52	ლანდშაფტის არქიტექტურა	5
53	სატყეო საქონელმცოდნეობა	5
54	სატყეო წარმოების მანქანები	5
55	სატყეო კანონმდებლობა, რეგულაციები და სტანდარტები	5
56	გამოყენებითი ინფორმატიკა 2	5
57	მსოფლიო სატყეო მეურნეობა	5
58	გამოყენებითი მექანიკა	5
59	დაცული ტერიტორიები და ეკოლოგიური ტურიზმი	5
60	აგრომეტყვეობა	5
61	ხე-ტყის დამზადებისა და ტრანსპორტირების ტექნოლოგია	5
	თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსები	
62	ეგზოტიკური ფრინველები და ცხოველები	5
63	ცხვრის ბიოლოგია და პროდუქციის წარმოების ტექნოლოგია	5
64	მელიორაციული ნიადაგმცოდნეობა	5
65	საქართველოს მომთაბარე მეცხოველეობა	5
66	ქართული ენის გამოყენებითი სტილისტიკა	5
67	წერითი და ზეპირი კომუნიკაციები	5
68	კრიტიკული აზროვნება და კომუნიკაცია	5
69	საბეწვე ნადირის ბიოლოგია და მოვლა შენახვა	5